ფრეა

სურათებიანი დამაგება

დამატების № 15. ქვიტა, 28 მაისი. 1906 წ. ჟურნალის № 43

* * *

დღეს მინდა ვიხუმრო.

უფროსს ეგონა, რომ ბავშვს უებრო სათამაშო გაუჩინა.

მისცა ცალკე ოთახი, დაუდგა სამწერლო მაგიდა, სკა-ში მშვენიერი და მოვარაყებული, წიგნებიც, საუკეთესო ყდაში ჩასმული, საუცხოო თაროზე ჩამოუდგა და... დამ-შვიდდა.

ასეთის სათამაშოს გაჩენა ეთანხმებოდა თანამედროვე შეცნიერების მოთხოვნილებასა და თვით ბავშვის „აჟინება-საც“.

თავი მოსწონდა უფროსს, რომ არ ჩამორჩა ის „მოდას“ და ძველებურად აღზრდილმა გარეშეების თვალის ასახვევად, ახალ აღზრდის გზაზე დაიყენა ბავშვი.

თვით ბავშვი კი სხვას ამბობდა.

აქ თაროზე მარნარიდი და ჭულ-ვერნი ეწყო,

მას კი მარქსი და დარვინი უნდოდა.

აქ ზღაპრები იყო,

მას კი ბუნების ნამდვილი კანონები და ცხოვრების უტყუარი მოთხოვნილება სწყუროდა გაეგო.

უფროსი ამიტომ ამბობდა, რომ ბავ-შვი კიდევ ტინინინობსო.

თუმცა თვით ბავშვს ასე ეტყობილ-ხმოვანებოდა:

— მართალი ხარ, მშვენიერია შენი მოთხოვნა, ღირსშესანიშნავი, ესეთი სურ-ვილი შენს ნიჭსა და ჭკუას ამტკიცებს,

მაგრამ.

ჯერ კიდევ ადრეა შენოვის ეგეები;

მაგრამ

ჯერ რა გეჩქარება!

მაგრამ

ჯერ უნდა შევიტყო ვისი გამოცემა სჯობია;

მაგრამ

ისიც უნდა გავიგო, როგორის ღირ-სების ქაღალდზეა დაბეჭდილი;

მაგრამ

ჯერ ეს არ შეიძლება;

მაგრამ

შენ ვ-ნ გეკითხება?!

და სულ ასე ჩაჰყვა „მაგრამით“ ბო-ლომდის უფროსი.

მხოლოდ, როდესაც ბავშვს პირში შეხედა...

ოჰ, რა მოხდა მაშინ!

ეს ბავშვი მხოლოდ მაშინ შეიცნა, რომ ძალონით სავსე ჰაბუკი იყო, უკვე დავაჟკაცებული,

და გაფითრდა უფროსი,

ფერი წაუვიდა, სულ მოიკუნტა:

ბოროტი ენები კი ამბობენ, რომ ეხლაც სამკვდრო ციე-ბა კანკალებსო!

შალვა დადაანი.

მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლიუციის დროის მოთხრობა)

ფელიქს გრასი.

(შემდეგი*)

როდესაც ვოკლერმა გაათავა კითხვა, დაიწყეს დაუსრულებელი ყვირილი; „გაუმაჯოს ეროვნებას, გაუმარჯოს რევოლიუციას!“ ქალები, სამ-ფერა ნიშნებით მორთულნი კაცებზედ მეტად ყვიროდნენ. ზოგი ქალი მოჰხვევოდა მარსელელებს და აღტაცებით კოცნა დაეწყო.

ვოკლერი კიდევ წამოდგა, მ. ღლა ამარია ხმლის წვერით თავისი ქუდი და სთქვა:

ეკლის გვირგვინი. — სურათი ანდერსონისა.

— კაცის უფლებათა დასაფარვად და ტანჯვათა მოსასპობ-ლად მე ჩავირი ჯხები მარსელელების რაზმში.

*) იხილე დამატება № 14.

ᲔᲠᲙᲣᲚᲔᲡᲘᲐ ᲡᲐᲙᲘᲓᲚᲘᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡ ᲪᲮᲔᲓᲐᲠᲗᲐᲜ.

დაფი დაჰკრეს თანხობის ნიშნად ვოკლერის მიღებაზედ და შეჰყვირეს;

—„გაუმარჯოს ავინიონელ პატრიოტებს.

ამაზედ ჩვენ ვუპასუხეთ:

— გუმარჯოთ მარსელელ ფედერალისტებს!

გამიტაცა ამათმა აღტაცებამ და მეთითონაც ვერ გავიგე, როგორ გავჩნდი ვოკლერის გვერდით.

— მეც შევდივარ თავისუფალ ჯარის კაცად მარსელელთ რაზმში!—და ავისროლე მაღლა წითელი ქუდი.

ჩემმა სიტყვებმაც იგივე ძახილი გამოიწვია.

ამ საერთო აღტაცებაში შევნიშნე სამლოკველოს კუთხეში პატარა ბავშვით ლაზული, რომელიც ნიშნებით მეუბნებოდა: „ვაშა, პასკალ, ვაშა!“

რაზმის უფროსმა მაუსონმა მოირბინა ჩემთან, მომეხვია და დამკოცნა. უფრო ახმაურეს დაფი და კრება გათავდა.

რამდენიმე პატრიოტმა სთქვა:

—წავიდეთ ლინსკის კარებთან —იქ ბევრი ღვინოა.

ყველა დიდის სიამოვნებით დათანხმდა. მაშინვე მარსელელების რაზმიც, გვარდიელებიც და იქ მყოფი ხალხიც წავედით რონის ნავთ-სადგურთან, სადაც ყველასთვის საკმაოდ იყო ღვინო, პური ზეთის ხილი, კაკალი და ნიორი.

საათები გადიოდა, მარსელელები და ავინიონელები ისევ სვამდნენ, სჭამდნენ, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. მე მონაწილეობას არ ვიღებდი ცეკვაში, რადგან ვამაყობდი მარსელის რაზმში ყოფნით და თავი დარბაისლად მეჭირა. ერთი ჯგუფიდან მეორესთან მივდიოდი, ჩემს თავს ვაცნობდი ახალ ამხანაგებს. ცოტა არ იყოს მაწუხებდა, რომ ისინი თუმცა ძალიან სიყვარულიანად მექცეოდნენ, მაგრამ ბავშვად მთვლიდნენ. ყველანი მეკითხებოდნენ! ბიჭუნავ, რამდენის წლისა ხარ? მეც ვუპასუხებდი; თექვსმეტისა და თან ვცდილობდი დიდათ ვჩვენობდი და ვაცმაცუნებდი ტუჩს, რომელზედაც ერთი ბეწვიც არსად სჩანდა. რომ მარსელელს დავმგზავსებოდი, ჩემს თოფის ტუჩში ჩავურჭე ნერგის ტოტი და ფეხსაცმელი მტვერში ამოვიგანგლე.

ამ ღრიანცელში ვოკლერი თვალიდან მიმეფარა და აშფოთებული დავეწყე ძებნა; უცბად მომესმა შოლტის ტაცუნი და ეტლის ხმა. ხალხი განზე გადგა და მეც უკან გავხტი, ოჰ, ღმერთო ჩემო! რა დავინახე—ეტლში იჯდა მარკიზ აბრენი, მეეტლესთან იჯდა საზიზღარი სურტო და იმასთანაც საცოდავი მამაჩემი, გაყვითლებული, დასუსტებული, დაღვრემილი და აშკარად ემჩნეოდა სახეზედ, რომ შოლტი მოხვედროდა. მთელი სხეული ამიკანკალდა და კინაღამ გული შემიწუხდა. ეტლმა ნელ-ნელა გაიარა. შევნიშნე მარკიზი ადელაიდა, ლამაზი ადელინა, ბ-ნი რობერი და თითონ მარკიზი, ერთხელ კიდევ შევხედე მამა ჩემს დავრწმუნებულვიყავ ცხადად ვხედავდი თუ არა, მაგრამ სურტოს თვალებმა შემომანათა ისე მკაცრად, თითქო მეუბნებოდა: დამაცადე, ახლა კი ხელში ჩამივარდიო. მერე ეტლი მიეფარა და ხალხმა განაგრძო მხიარულება.

მეტად შეწუხებული ვიყავ, აღარ ვიცოდი, რა მექმნა. ორ ნაბიჯზედ მშობელი მამა მყავდა და კი არ შემეძლო იმასთან მისვლა და ორის სიტვის თქმა, ვგრძნობდი რომ თუ მივეკარებოდი, დაღუპული ვიყავ; ამას აშკარად მეუბნებოდნენ სურტოს მხეცური თვალები, ჩემი მხსნელი ეხლა ვოკლერი-ღა იყო, მეც იმას ვეძებდი ხან ერთსა და ხან მეორე მხარეს.

უცბად ვიღამაც მხარზე ხელი წამავლო, მე მივიხედე, ჩემს უკან იდგნენ სურტო და მამაჩემი. როგორც ეტლი გასცილდა ხალხს, სურტომ და მამაჩემმა დამიწყეს ძებნა. ვცდილობდი იმის ბრჭყალებისაგან თავი დამეღწია, მაგრამ ვერ მოვახერხე.

— წამოდი, წამოდი,—მუქარით მითხრა იმან: —მამა შენს უნდა შენი შინ წაყვანა.

— არ წამოვალ, თავისუფალი კაცი ვარ: მე მარსელელების რაზმში შევედი თავისუფალ ჯარის კაცად.

— მაგასაც ვნახავთ,—წამობძანდი უფროსთან!—მითხრა სურტომ და თან ხელს არ მიშვებდა.

— დიალ, დიალ, შე საძაგელო;—ბურტყუნებდა მამა ჩემი: —შინ უნდა დაბრუნდე, ასე ბრძანა მარკიზმა.

მაუსსენი იქვე ახლოს იდგა და, რომ შენიშნა არეულობა, მოვიდა სურტოსთან.

— რა ამბავია?—ჰკითხა იმან.

— აი, ეს ბიჭი თავის მშობლებს გამოექცა, ახლა მოხუცი მამა აქ არის და სურს წაიყვანოს დედასთან, რომელიც ჯავრით ლამის მოკვდეს.

— არ ვარგა დედ-მამის თავის დანებება,—სთქვა მაუსენმა, წარბებ შეკმუხვნილმა,—საფრანგეთისთვის ჯერ საჭირო არა ხარ, წადი, სახლში და როცა ულვაშები გამოგვა, ისევ მოდი და ჩვენ სიამოვნებით მიგიღებთ ჩვენს ბატალიონში მითხრა და გაბრუნდა.

მამაჩემმა მდაბლად თავი დაუკრა მაუსსენს, სურტომ მტაცა ხელი და წამათრია. „მამა ძლივს მოგვდევდა. მე ‖ დავი-

ლუპე, ვოკლერს შეეძლო ჩემი ხსნა, რადგან მარტო იმან იცოდა ჩემი ამბავი, მაგრამ არსადა სჩანდა, ალბად ლაზულის შინ წაჰყვა, რომ მომზადებულიყო პარიზში წასასვლელად.

ჩემდა საუბედუროდ, თოფი და ხმალიც ქალაქს გარედ დამრჩა. უიარაღო ვიყავ, სურტოს ხელში და როგორც მკვდარი, მივდევდი უკან, მივედით მარკიზის სახლთან, ეტლი შუა გზაში იდგა და მოსამსახურეები ავსებდნენ სხვა და სხვა საზოვაგით, თავს ადგნენ რობერი და ადელინა.

— ჰე, ჩაგვივარდი ხელში, შე მაწანწალავ! —მითხრა რობერმა და შემომხედა ბოროტად.—ჩაჰკეტეთ სარდაფში და აღარ გამოუშვათ!

მამაჩემი ჩვეულებისამებრ მივიდა იმასთან, მუხლი მოუყარა და ხელზე აკოცა. ადელინამ კი თავი იქით მიიღო. ვიგრძენ რომ იმას ვებრალებოდი, მაგრამ ვერ ჰბედავდა რისამეს თქმას.

სურტომ გამათრია დერეფანში, ახადა იატაკში დაყოლებული კარები და ჩამიშო ვიწრო კიბით. სარდაფში რომ ჩავდიოდი, გავიგონე, რობერმა უთხრა მამაჩემს:

—ერა საზიზღარია შენი შვილი! შენ გეგონა, რომ ის მოსვენებით სცხოვრობს ჟოსერენთან, სადაც რანდულემ გაგზავნა, იმან კი ყაჩაღთა ბრბოში ამოჰყო თავი, ნახე იმათ მუნდირში გამოწყობილი?

— აქ მოკვდი, შე ძაღლის ლეკვო! თუ მოგშივდეს, ჯერ მარჯვენა ხელი შეიჭამე და მერ მარცხენა.

ვგრძნობდი რომ ვიდუპებოდი და ხვეწნა დავუწყე იმ ჯალათს, მაგრამ იმან მხეცივით გადიხარხარა:

— შე საზიზღარო, — სთქვა იმან, — შენ მეტად ბევრი რამ ნახე და შეგიძლიან ზოგიერთი რამ გამოამეღავნო. გახსოვს, შენ რომ ლე-გარდში ხეზე ახვედი? ან რაც საავადმყოფოში მოხდა საღამოთი? აქ ამ სარდაფში ეგ შენი ენა უშიშარია.

დაკეტა კარები. ჯერ მისი ფეხის ხმა მომესმა კიბეზედ რომ ავიდა, და მერე კარის რახუნი, მე დავრჩი მარტოდ სიბნელეში, სიცივეში და სიკვდილის ბრჭყალებში.

ექვი აღარ იყო, რომ სიმშილით უნდა მომკვდარიყავ. არავის შეეძლო ჩემი შველა. რა მოვიქმედე ასეთი? რა ვნახე მუხის ხიდან ლე-გარდში? ნუ თუ ჩემის სიკვდილის მიზეზი მამა ჩემი იყო? იმას არ შეეძლო ჩემი გაცემა ან განგებ გაყიდვა, უეჭველია თითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა. ჯერ ისევ აჩნდა იმის სახეს და ტანს მათრახები და ის კი ხელზედ ჰკოცნიდა. მარტო ამ ფიქრით სული მეხუთებოდა. არა სჯობია მოვკვდე!.. მაგრამ ლე-გარდში ხიდთან რა ვნახე? ეს ფიქრი ვეღარ მოვიცილე თავიდან... ჰო, მართლა! თან და თან მაგონდება, რომ ერთხელ კარგა ხანია, მას შემდეგ, მე ავცოცდი დიდ მუხაზე, მინდოდა ჩამომეღო ჩიტის ბუდე. ერთბაშად მომესმა ლაპარაკი. ლაპარაკობდენ მარკიზის ცოლი და სურტო. იმათ ერთმანეთის ხელი ეჭირათ და დაბალის ხმით ბაასობდენ. მე მშვენიერად გავიგონე მარკიზამ რომ უთხრა: „საქმე დააჩქარე, ნიშანში ამოიღე, გაფთხილდი არ ააცდინო“. შევიცადე, მანამ წავიდნენ, შემდეგ საჩქაროდ ჩამოვედი ხიდან, ნელ-ნელ მწარედ მაკანკალებდა; ამ დროს სურტომ მოიხედა და დამინახა. ეტყობოდა იმ წამიდან გადასწყვიტა ჩემი მოკვლა. ახლა მიზეზიც ხელთ იგდო, ჩემი ნასროლი ქვა რომ მოხვდა რობერს.

ამ ფიქრში ვიყავი, რომ ფაჩი-ფუჩი მომესმა სარდაფის კუთხიდან, იქ თაგვები დაძვრებოდენ მიწის ნამტვრევებზედ. ძალიან მიამა, მიწის ნამტვრევები რომ დავიგულე. ვიფიქრე, ძარღვს გავიჩრი და მოვისპობ სიცოცხლეს, ესა სჯობიან შიმშილით სიკვდილს მეთქი! ხელის ცეცებით ნელ-ნელა მივდიოდი იქით, საცა ნამტვრევები ეყარა, მაგრამ წამ და უწუმ მოქმედებდა აბდა-უბდა და ძლივს მოვიშორებდი ხოლმე. ღმერთმა იცის, როდის აქეთია ამ სარდაფში აღარავინ ყოფილა. მაინც როგორც იყო მივაღწიე ამ ნამტვრევ მიწებთან და, როგორც გავიწოდე ხელი ასაღებად, ზევიდან მომესმა რაღაც ხმაურობა, ვიღამაც დერეფანში ჩამოსავალი კარები ახადა და გავიგონე კიბეზე მომავალი ფეხის ხმა. სუნთქვა შევიკავე.

უეჭველია სურტო იქნებოდა, ალბად ჩემს მოსაკლავათ მოდიოდა. თუმცა მე ჩემის თავის სიკვდილი გადავწყვიტე, მაგრამ მაინც შევკრთი. სიკვდილი მენატრებოდა, მაგრამ ამ აფთრის ხელით კი არა, ამიტომ გადავწყვიტე ძვირად დამესვა ჩემი სიცოცხლე.

ეტიუდი.

სურტომ გააღო სარდაფის კარი, შემაგდო შიგ და მი-

ვტაცე ხელი დიდ გატეხილ ბოთლს და მოვამზადე, ცხვირპირში მეთხლიშა სურტოსთვის. იმ წამს სარდაფის კარი გაიღო,

ჩემი გაოცება მეტის-მეტი იყო, პატარა ადელინა დავი ნახე სანათით ხელში.

— სსსუ... სსსუ...—სთქვა იმან ჩურჩულით.—პასკალ, სადა ხარ? შენს დასახსნელად მოვედი.

მივირბინე, დავუჩოქე და ვუთხარ:

— თქვენა ხართ ადელინა? ნუ მიმცემთ სურტოს, მომკლავს!

არა, არა, ჩემო კარგო პასკალ, იმიტომ მოვედი, რომ დაგიხსნა იმ აფთარ კაცისაგან, წამომყევი და კრინტი არ დასძრა. ამ სახლიდან გაგიყვან, მაგრამ გაფრთხილდი, აღარ ჩაუვარდე სურტოს ბრჭყალებში, ის ეხლა ბაღში საფლავს გითხრის: იმან დაიფიცა, რომ ამაღამ მოგკლავს და ბნელაში დაგმარხავს. აბა, წავიდეთ.

უჩუმრად გავყევი. ავედით კიბეზე, ძლივს ავხადეთ კარები, მერე გავიარეთ დერეფანი და გავედით ეზოში.

— აი, ამ კედელზე უნდა გადახტე,—მითხრა ნელის ხმით ადელინამ,—მაგ კედელს იქით ქუჩაა და შენ თავისუფალი იქნები.

თავისი პატარა ხელებით სცდილობდა მოეთრია კიბე, მაგრამ დაჩვეული ვიყავ მაღალ ხეებზე და კედლებზე ბობღვას, აქაც ადვილად ავცოცდი კედელზე, გადავხტი ქუჩაში ჩემდა შესარცხვენად, მადლობაც ვერ გადავუხადე იმ კეთილ ქალს, საჩქაროდ დიდი მოედნისაკენ მოვკურცხლე.

ავინიონში ყველას ეძინა, სამარისებური სიჩუმე იყო ქალაქში. შორს მოვუხვიე და ისეთი ქუჩები ავარჩიე, სადაც პაპისტების დარაჯები არ შემხვდებოდნენ. არავინ არ შემხვედრია, მთვარის შუქზედ მხოლოდ ჩემს ჩრდილს ვხედავდი.

ბოლოს მივაღწიე ლაზულის სახლამდე. შუა ღამე იყო, მაგრამ სარკმელში სინათლე მოსჩანდა. კარი დავარახუნე.

— ლაზული! ლაზული! მე ვარ.

— ნუ თუ პასკალია?—მომესმა ლაზულის ხმა და საჩქაროდ ჩამოვიდა კიბეზედ.

ერთ წამს შემდეგ კარი გაიღო, ლაზული გადამეხვია და გადამკოცნა.

— საიდან მოდიხარ, სად იყავი? მთელს ავინიონში დაგეძებენ. ოკლერი მარსელელებს გაჰყვა, დაგიბარა შენც უეცველად წახვიდე პარიზში. ოჰ, რა მიხარიან, რომ გხედავ ლამაზო პასკალ! სად დაიკარგე? მომიყევი შენს ამბავს.

თუმცა პატარა ვიყავ, მაგრამ ამ ლამაზის ქალის კოცნით ტანში ერუანტელი მივლიდა და, რომ უმადური არ ვგონებოდი, მეც ალერსით ვეკცეოდი.

უცბად მომშორდა, გამოიღო პური და ღვინო და მითხრა:

— შენ მშიერი იქნები. აბა ჭამე, დალიე და თან მიამბე სად იყავ, მერე გაუდექ მარსელელების ბატალიონს, შენ იმათ დაეწევი ვერდეტში. ისინი ღამეს იქ გაატარებენ, გათენებისას გზას გაუდგებიან.

სიამოვნებით დავთანხმდი. ვივახშმე და ვუამბე რაც გადამხდა.

— ეგ შეუძლებელია!—სთქვა იმან, როცა მოისმინა ჩემი ამბავი.—სად მივდივართ? გარს სულ ავაზაკები გვახვევიან, როგორ დავრჩე აქ მარტო ჩემის პატარათი? სწორედ მეშინიან შენის სურტოსი! მაშ, აიღე შენი თოფი და დაეწიე შენს რაზმს, ოკლერს კი უთხარი, რომ აქ მარტო არ დავრჩები. იმ კვირია მეც პარიზში წამოვალ შემდეგის დილიჟნით. მაშასადამე, მე თქვენზედ ადრე მივალ და ოთახს დაგიმზადებთ.

უბედურ შემთხვევაში ახლო გეყოლებით, გარდა ამისა მეც პატრიოტი ვარ და მინდა მონაწილეობა მივიღო თქვენს გამარჯვებაში. აი შენი პარკი, შიგ აწყვია ახალი პერანგი, წითელი ქამარი, ბოთლით არაყი, ორი დამბაჩა, თოფის წამალი, ტყვიები, საკვესი, სამფერი ნიშანი და შენი ფულიმოგინდება: პარიზამდის დიდი მანძილია, იქაც ჯერ არისტოკრატები ბატონობენ, მაშასადამე, შუქთად წყალსაც ვერ დალევ. წასვლისას ჩემს პატარა კლიარეს აკოცე, მაგრამ კი არ გაღვიძო. ახლა კი წადი, ჩქარა წადი! ოკლერს ყველაფერი უამბე. პარკი ზურგზე თასმებით შემიკრა და სანთელი მომინათა, როცა კიბეზე ჩავდიოდი.

— უეცველად, უეცველად იმ კვირია წამოვალ — ეგრე უთხარ ოკლერს.

აღელვებული ვიყავ და აღარ ვუპასუხე. როგორც გავედი გარეთ, კარი მაგრა მიხურა. მარტოთ-მარტო დავრჩი ავინიონის მოედანზე, გადავიკიდე მხარზე თოფი და ფეხით გავუდექ პარიზის გზას.

აქ შედგა პასკალი.

— აბა, მეგობრებო, სახლში წასვლის დროა.

— ხვალ ხომ გვიამბობთ, რაც ნახეთ პარიზში?—ჰკითხა მატერონამ—მეტად საყურადღებო ადგილს შედექით.

— რასაკურველია, გიამბობთ, გიამბობთ,—უპასუხა პასკალმა.

ეჯენა ანტონოვსკისა.

(შემდეგი იქნება)

* * *

ვინც რომ კერპის ქება-შესხმას
ფლიდურ ქცევით არა ზოგავს,
ფეხს უკ-ცნის და მუდარით
მის წინაშე კრუნჩხვით გოგავს,—

სამათხოვროდ გაშვერილი,
მას უთრთოდეს ისევ ხელი,
თავის ბედის მომჩივარმა
ჩამოღვაროს ცრემლი ცხელი.

ჩვენ სხვა აზრი გვასულდგმულებს,
არ ჰგავს სხვისას—სამარცხვინოს;
დე, ბატონის ნაჩუქარმა
ისევ მკრთალი გააბრწყინოს.

მაინც მივალთ, ცხოვრებაში
მრწამს—გავავლებთ მტკიცე კვალსა,
ბოროტს წარვხოცთ და ჩაგრულებს
გავუბრწყინებთ მომავალსა.

არ შევარჩენთ უგუნურ მტერს,
სიმწუხარის კერპად ქცეულს
ქვეყნის ტანჯვა-სივალალოეს
და მოძმეთ სისხლს, დღეს დანთხეულს!..

სოლ. გ—ძე

რედაქტორ-გამომცემელი გრ. ს. რცხილაძე.